ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი
საფეხური: საბაკალავრო
სილაბუსი

1.	სასწავლო კურსის დასახელება	სინტაქსის ლაბი - პრაქტიკუმი Syntax Lab - Exercise
2.	სასწავლო კურსის ხანგრძლივობა	1 სემესტრი
3.	კრედიტების რაოდენობა	6 კრედიტი
4.	საკონტაქტო საათების რაოდენობა	**საკონტაქტო სთ** - 32 სთ: ● ლექცია - 13 სთ. ● სემინარი - 13 სთ. ● შუალედური შეფასება - 4 სთ. ● დასკვნითი შეფასება - 2 სთ. **დამოუკიდებელი სამუშაო** - 118 სთ.
5.	ლექტორი	სვეტლანა ბერიკაშვილი, დოქტორი, ასოცირებული პროფესორი ტელ.: (+995) 599157214 ელ-ფოსტა: svetlana.berikashvili@iliauni.edu.ge სტუდენტებისთვის ინდივიდუალური საკონსულტაციო საათების ჩანიშვნა შესაძლებელია წინასწარ, ლექტორთან შეთანხმებით.
6.	სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობები	ქართული ენის სინტაქსი
7.	სწავლების მეთოდები	**სწავლების მეთოდები:** ლექცია, პრაქტიკული მუშაობა (ჯგუფში მუშაობა, სემინარი და სხვ.), ელექტრონული სწავლება, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, დემონსტრირების მეთოდი. **აქტივობები:** თანამშრომლობითი სწავლა, გონებრივი იერიში, შემთხვევის ანალიზი, მასალის დამოუკიდებლად მოძიება-დამუშავება, ჯგუფური დისკუსია, ტექსტების და სხვა მასალის კომენტირება, წინადადების სინტაქსური ანალიზი, შესაბამისი ციფრული ინსტრუმენტებისა და ენის კორპუსების გამოყენება.
8.	სასწავლო კურსის მიზანი	განსხვავებით ქართული ენის სინტაქსის თეორიული კურსისაგან, ამ კურსის მიზანია გადასცეს სტუდენტს პრაქტიკული ცოდნა ქართული ენის სინტაქსის შესახებ; გაუადვილოს ტექსტებზე მუშაობა და განუვითაროს ნებისმიერი ტექსტის სინტაქსური ანალიზის უნარი; მისცეს ქართული სინტაქსის სიღრმისეული გაანალიზებისა და განხილვის შესაძლებლობა გამოყენებითი ენათმეცნიერების საჭიროებიდან გამომდინარე; დაეხმაროს სტუდენტს ქართული ენის სინტაქსის თეორიული მასალის დაუფლებაში

		პრაქტიკული ამოცანების გადაჭრის გზით; ასევე, აუხსნას სინტაქსის თეორიული და გამოყენებითი პოტენციალი ბუნებრივი ენის სინტაქსური დამუშავების ფარგლებში და წარმოდგენა შეუქმნას სინტაქსური ხეების შესახებ.
9.	სწავლის შედეგები და ძირითადი კომპეტენციები (დარგობრივი და ზოგადი)	**დარგობრივი კომპეტენციები** სტუდენტი: - ავლენს პრაქტიკულ ცოდნას ქართული ენის სინტაქსის შესახებ; - სინტაქსურად აანალიზებს ტექსტებს; - გადმოსცემს ქართული სინტაქსის საკითხებს გამოყენებითი ენათმეცნიერების საჭიროებიდან გამომდინარე; - შეუძლია სინტაქსის თეორიული და გამოყენებითია პოტენციალის განსაზღვრა, გამიჯვნა და არგუმენტირებულად შეფასება. **ზოგადი კომპეტენციები** სტუდენტი: - ამჟღავნებს სინტაქსის კვლევისა და ანალიზის უნარს; - ახდენს ზეპირ და წერილობით კომუნიკაციას აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვითა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით; - მიზნობრივად სარგებლობს საბიბლიოთეკო და ელექტრონული რესურსებით.
10.	ძირითადი თემები	თითოეული თემა წარმოდგენილი იქნება პრაქტიკული დავალებების, შესაბამისი მაგალითების/წინადადებების სინტაქსური ანალიზის სახით, ვინაიდან კურსის მთავარი მიზანია სტუდენტს გადასცეს პრაქტიკული ცოდნა ქართული ენის სინტაქსის შესახებ; გარკვეულ შემთხვევებში მოცემული იქნება შედარება თანამედროვე სინტაქსური თეორიის დებულებებთან და მოხდება ელემენტარული სინტაქსური ხეების დემონსტრირება, რაც შეამზადებს სტუდენტს მაგისტრატურის დონეზე თანამედროვე სინტაქსური თეორიებისა და წარმომშომშობი გრამატიკის შესასწავლად. შესაბამისად, პრაქტიკული დავალებების სახით დაიფარება შემდეგი საკითხები: 1. წინადადება, როგორც სინტაქსური ერთეული; სინტაქსური კავშირი; სიტყვათა შეკავშირება, წყვილები; სიტყვათა სინტაქსური შეკავშირების სახეები; შედარება თანამედროვე სინტაქსის შეკავშირების თეორიასთან; 2. წინადადების ტიპები მოდალობისა და აგებულების მიხედვით: მარტივი, შედგენილი, რთული. მარტივი

		წინადადების ტიპები; სიტყვათა განლაგება მარტივ წინადადებაში; 3. მარტივი წინადადების სინტაქსი, წინადადების მთავარი წევრები: შემასმენელი, ქვემდებარე, დამატება-ობიექტები. შედარება თანამედროვე სინტაქსის არგუმენტების სტრუქტურასთან; 4. მარტივი წინადადების სინტაქსი, შემასმენელი: მარტივი და შედგენილი შემასმენელი; 5. მარტივი წინადადების სინტაქსი, ქვემდებარე: ქვემდებარის გადმოცემა სხვადასხვა მეტყველების ნაწილით, ქვემდებარის ბრუნვები; ბრუნვათა ფუნქციები; შედარება თანამედროვე სინტაქსის ბრუნვის თეორიასთან; 6. მარტივი წინადადების სინტაქსი, დამატება-ობიექტები: პირდაპირი და ირიბი დამატება; 7. მარტივი წინადადების სინტაქსი, შემასმენლის ურთიერთობა მასთან შეწყობილ წინადადების მთავარ წევრებთან: ქვემდებარე და შემასმენელი, დამატება-ობიექტები და შემასმენელი; შედარება თანამედროვე სინტაქსის შეთანხმების თეორიასთან; 8. მარტივი წინადადების სინტაქსი, წინადადების არამთავარი წევრები: უბრალო დამატება, გარემოება, განსაზღვრება. 9. შერწყმული წინადადების სინტაქსი: ერთგვარწევრიანი შერწყმული წინადადებები; განკერძოებული სიტყვები; 10. რთული წინადადების სინტაქსი, რთული წინადადების ძირითადი ტიპები; რთულში გაერთიანებულ წინადადებათა დაკავშირების საშუალებები; რთული თანწყობილი წინადადება; 11. რთული წინადადების სინტაქსი, რთული ქვეწყობილი წინადადება; დამოკიდებული წინადადება სინტაქსური ფუნქციის მიხედვით; 12. რთული წინადადების სინტაქსი, რთული ქვეწყობილი წინადადება რამდენიმე დამოკიდებული წინადადებით.
11.	შეფასების წესი	**შეფასება 100-ქულიანი სისტემით** მიმდინარეობს. ქულები გადანაწილდება და განისაზღვრება ამგვარად: შეფასების სისტემა: (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი -მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა; (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა

		სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; (F) ჩაიჭრა- მაქსიმალური შეფასების 40 ქულა ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. **შეფასების კომპონენტები:** **შეფასების ფორმა** | **შეფასების კომპონენტი** | **შეფასების ქულა** | **მინიმალური ზღვარი** შუალედური შეფასება | სემინარზე აქტიურობა და დავალება | 20 | 5 | კოლოკვიუმი 1 | 25 | 8 | კოლოკვიუმი 2 | 25 | 8 დასკვნითი შეფასება | კოლოკვიუმი | 30 | 11 დასკვნითი შეფასება არის შემაჯამებელი და მასზე გასვლა სავალდებულოა ყველა სტუდენტისთვის. შეფასების ძირითადი მეთოდები: აქტიურობა, კოლოკვიუმი. **სემინარზე აქტიურობისა და დავალების** შეფასება მოიცავს ორ კომპონენტს: საშინაო დავალებების შესრულების ხარისხსა და სემინარზე პრაქტიკული დავალებების შესრულებისა და თეორიულ საკითხებზე მსჯელობის ხარისხს. სემესტრის ბოლოს მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით ხდება პროცენტული მაჩვენებლის გამოყვანა 30 ქულის ფარგლებში. თითოეული კომპონენტის ფარგლებში მოქმედებს შეფასების შემდეგი კრიტერიუმები. *საშინაო დავალებების შესრულების ხარისხი:* 10 ქულა – საშინაო დავალება შესრულებული იყო შეცდომების გარეშე და ხარისხიანად; 9 ქულა – საშინაო დავალება შესრულებული იყო ძალიან კარგად მცირე ცდომილებებით; 8 ქულა – საშინაო დავალება შესრულებული იყო მეტწილად კარგად ცდომილებებით; 7 ქულა – საშინაო დავალება შესრულებული იყო ნაწილობრივ კარგად დიდი ცდომილებებით; 6 ქულა – საშინაო დავალება შესრულებული იყო დამაკმაყოფილებლად, ნაშრომზე მუშაობისას სტუდენტი განიცდიდა სირთულეს; 5 ქულა – საშინაო დავალება ნაწილობრივ შეუსრულებელი იყო, დაშვებული იყო შეცდომები; 4 ქულა – საშინაო დავალება მეტწილად შეუსრულებელი იყო, დაშვებული იყო ბევრი შეცდომა; 3 ქულა – საშინაო დავალება შესრულებული იყო ცუდად, დაშვებული იყო ძალიან ბევრი შეცდომა; 2 ქულა – საშინაო დავალება შესრულებული იყო ძალიან ცუდად, თითქმის შეუძლებელი იყო ნაშრომის გასწორება;

		1 ქულა – საშინაო დავალება თითქმის მთლიანად შეუსრულებელი იყო; 0 ქულა – შეუსრულებელი იყო გაცდენის გამო, გამოვლინდა მოტყუებისა ან სხვისი ნაშრომის მითვისების მცდელობა. *სემინარზე პრაქტიკული დავალებების შესრულებისა და თეორიულ საკითხებზე მსჯელობის ხარისხი:* 10-9 ქულა – მომზადებული იყო სემინარისთვის: სემინარზე მიღებული პრაქტიკული დავალება შესრულებული ჰქონდა შეცდომების გარეშე და აქტიურად მონაწილეობდა წამოჭრილი საკითხების განხილვაში; 8-7 ქულა – მომზადებული იყო სემინარისთვის: სემინარზე მიღებული პრაქტიკული დავალება შესრულებული ჰქონდა მცირე ცდომილებებით, მეტ-ნაკლებად აქტიურობდა წამოჭრილი საკითხების განხილვაში; 6-5 ქულა – უმეტესად იყო მომზადებული სემინარისთვის: სასემინარო პრაქტიკული დავალება შესრულებული ჰქონდა მეტწილად კარგად, გამოირჩეოდა ნაკლები აქტიურობით პრობლემური საკითხების განხილვის დროს; 4-3 ქულა – განიცდიდა მნიშვნელოვან სირთულეს სასემინარო პრაქტიკული დავალების შესრულების დროს, მეტ-ნაკლებად მონაწილეობას იღებდა პრობლემური საკითხების განხილვაში; 2-1 ქულა – სემინარისთვის იყო მოუმზადებელი: მინიმალურად ცდილობდა პრაქტიკული დავალების შესრულებას, თუმცა თითქმის არ იღებდა მონაწილეობას დისკუსიებსა და სხვა აქტივობებში; 0 ქულა – არ ესწრებოდა სემინარს, პრაქტიკული დავალება შესრულებული არ ჰქონდა, მონაწილეობას დისკუსიებსა და სხვა აქტივობებში არ იღებდა და/ან გამოვლინდა მოტყუებისა ან სხვისი ნაშრომის მითვისების მცდელობა. **კოლოკვიუმი** მოიცავს 2 (ორ) თეორიულ საკითხს და 5 (ხუთ) პრაქტიკულ დავალებას. *თეორიული საკითხის* შეფასება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით ხდება: 5 ქულა – პასუხი ვრცელი, დამაჯერებელი, სიღრმისეული, დასაბუთებული, ორიგინალური, საინტერესო და სრულყოფილია; 4 ქულა – პასუხი ვრცელი, დამაჯერებელი და სიღრმისეულია, მაგრამ აკლია ზოგიერთი მნიშვნელოვანი ინფორმაცია; 3 ქულა – პასუხი საკმაოდ ვრცელი და დეტალურია, მაგრამ ზედაპირულია; 2 ქულა – პასუხი შემოიფარგლება მშრალი ფაქტების ძალზე ზოგადი გადმოცემით; შეიცავს უზუსტობებს; 1 ქულა – პასუხი ძალზე მოკლე, ზოგადი და არადამაჯერებელია; 0 ქულა – პასუხი სრულიად მცდარია; პასუხი საერთოდ არ არის. *პრაქტიკული დავალება* გულისხმობს წინადადების და/ან

		ცალკე აღებული შესიტყვებების სინტაქსურ გარჩევას. თითოეული საკითხის შეფასება შემდეგი კრიტერიუმის მიხედვით ხდება: 3 ქულა – წინადადება და/ან ცალკე აღებული შესიტყვება გარჩეულია დეტალურად, სრულყოფილად; 2 ქულა – წინადადება და/ან ცალკე აღებული შესიტყვება გარჩეულია დეტალურად, თუმცა შეიცავს ერთ (შეიტყვებისა და მარტივი წინადადების შემთხვევაში) ან ორ (შერწყმული და რთული წინადადების შემთხვევაში) უზუსტობას; 1 ქულა – წინადადება და/ან ცალკე აღებული შესიტყვება გარჩეულია დეტალურად, თუმცა შეიცავს სამ (შეიტყვებისა და მარტივი წინადადების შემთხვევაში) ან ოთხ (შერწყმული და რთული წინადადების შემთხვევაში) უზუსტობას; 0 ქულა - პასუხი სრულიად მცდარია და/ან საერთოდ არ არის. **დასკვნითი შეფასება არის წერითი (ონლაინ სწავლების დროს შესაძლებელია ფორმატი ჩანაცვლდეს ზეპირით).** შეფასება ხდება 1 თეორიული საკითხისა და 8 (რვა) პრაქტიკული დავალების შესრულების საფუძველზე. საკითხების შერჩევა ხდება კურსის ფარგლებში გავლილი თემატიკის საფუძველზე. *თეორიული საკითხი* 6 ქულით ფასდება და შემდეგ კომპონენტებს მოიცავს: 6 ქულა - გაცემული პასუხი აქტუალურია, მიზნები და მოსალოდნელი პრაქტიკული ღირებულება მკაფიოდ და ლოგიკურად ჩამოყალიბებულია; განხილული საკითხი ლოგიკურადაა განმარტებული და დასაბუთებული; საკითხის განხილვისას ზუსტად და ამომწურავად არის გამოყენებული მასალის მოპოვებისა და დამუშავების მეთოდები. დასკვნები არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული და იძლევა თეორიული განზოგადებისა და პრაქტიკული რეალიზების საშუალებას; 5 ქულა - გაცემული პასუხი აქტუალურია, მიზნები და მოსალოდნელი პრაქტიკული ღირებულება ლოგიკურად ჩამოყალიბებულია, თუმცა აკლია სიცხადე და მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება სამუშაოს მოთხოვნებს; ცალკეული მეთოდი მიზნობრივად არის შერჩეული; მოსალოდნელი შედეგები ლოგიკურადაა განმარტებული, მაგრამ აკლია სიცხადე/დასაბუთება; საკითხის განხილვისას გაკეთებული დასკვნები მისაღებია, თუმცა მოიცავს უმნიშვნელო შეცდომებს; 4 ქულა - გაცემული პასუხის მიზნები და მოსალოდნელი პრაქტიკული ღირებულება ფორმულირებულია, მაგრამ ბოლომდე ჩამოყალიბებული არ არის; მასალა გაანალიზებულია ნაწილობრივ; გამოყენებული მეთოდები ნაწილობრივ უზრუნველყოფს კონკრეტული შედეგების მიღებას; შედეგების განსჯა მოითხოვს გაუმჯობესებას; დასკვნები წარმოდგენილია მცირე შეცდომებით; 3 ქულა - გაცემული პასუხის მიზნები და მოსალოდნელი პრაქტიკული ღირებულება ნაწილობრივ ფორმულირებულია, თუმცა ბოლომდე ჩამოყალიბებული არ არის; მასალა სათანადო დონეზე გაანალიზებული არ არის; გამოყენებული მეთოდები

		ვერ უზრუნველყოფს კონკრეტული შედეგების მიღებას; შედეგების განსჯა მოითხოვს მნიშვნელოვან სრულყოფას; გაკეთებული დასკვნები წარმოდგენილია შეცდომებით; 2 ქულა - საკითხის აქტუალობა, მიზნები და მოსალოდნელი პრაქტიკული ღირებულება ზედაპირულია და არაარგუმენტირებულად ჩამოყალიბებულია, არის შემთხვევითი; მეთოდები შერჩეულია არათანმიმდევრულად, ვლინდება შეუსაბამობა თემის მიზნებსა და ამოცანებს და შერჩეულ მეთოდოლოგიას შორის. თემის მოსალოდნელი შედეგიც ნაკლებად არგუმენტირებულია; 1 ქულა - საკითხის აქტუალობა, მიზნები და მოსალოდნელი პრაქტიკული ღირებულება მეტწილად ჩამოყალიბებული არ არის, და, ძირითადად, მოიცავს სხვა საკითხებს; მეთოდები შერჩეულია არაკვალიფიციურად; კონკრეტული მეთოდი არ აგროვებს ისეთ ინფორმაციას, რომელიც თემის მიზნებსა და ამოცანებთან არის შესაბამისობაში. თემის მოსალოდნელი შედეგები ზედაპირულად და არაარგუმენტირებულად არის ჩამოყალიბებული; დასკვნები არაადეკვატურია; 0 ქულა - საკითხის აქტუალობა, მიზნები და მოსალოდნელი პრაქტიკული ღირებულება არ არის ჩამოყალიბებული, არ შეესაბამება თემატიკას; არ შეესაბამება სამუშაოს მოთხოვნებს; მეთოდები არ შეესაბამება კვლევითი პროექტის მიზნებსა და ამოცანებს და შესაბამისად არ უზრუნველყოფს შედეგების მიღებას; შედეგები ჩამოყალიბებულია არაკვალიფიციურად, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე; დასკვნები საერთოდ არ არის წარმოდგენილი. შეიძლება იყოს უგულებელყოფილი აკადემიური კეთილსინდისიერების პრიციპები. *პრაქტიკული დავალება* გულისხმობს წინადადების და/ან ცალკე აღებული შესიტყვებების სინტაქსურ გარჩევასა და ანალიზს. თითოეული საკითხის შეფასება შემდეგი კრიტერიუმის მიხედვით ხდება: 3 ქულა – წინადადება და/ან ცალკე აღებული შესიტყვება გარჩეულია დეტალურად, სრულყოფილად; 2 ქულა – წინადადება და/ან ცალკე აღებული შესიტყვება გარჩეულია დეტალურად, თუმცა შეიცავს ერთ (შეიტყვებისა და მარტივი წინადადების შემთხვევაში) ან ორ (შერწყმული და რთული წინადადების შემთხვევაში) უზუსტობას; 1 ქულა – წინადადება და/ან ცალკე აღებული შესიტყვება გარჩეულია დეტალურად, თუმცა შეიცავს სამ (შეიტყვებისა და მარტივი წინადადების შემთხვევაში) ან ოთხ (შერწყმული და რთული წინადადების შემთხვევაში) უზუსტობას; 0 ქულა - პასუხი სრულიად მცდარია და/ან საერთოდ არ არის.
12.	ლიტერატურა და სხვა რესურსები	**სავალდებულო ლიტერატურა:** ● გეგუჩაძე, ლეილა. 2010. *ქართული ენა. სინტაქსის საკითხები.* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. ● იოსავა, ნელი. 2003. *ქართული ენა. პრაქტიკუმი სინტაქსში.*

		თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა; ● კვაჭაძე, ლეო. 1996. *თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი.* თბილისი: რუბიკონი; ● მელიქიშვილი, დამანა. 2001. *ქართული ზმნის უღლების სისტემა.* თბილისი: ლოგოს პრესი; **დამატებითი ლიტერატურა:** ● აფრიდონიძე, შუქია. 1986. *სიტყვათგანლაგება ახალ ქართულში.* თბილისი: მეცნიერება; ● გამყრელიძე, თამაზ, ზაზა კიკნაძე, ინგა შადური და ნანა შენგელაია. 2008. *თეორიული ენათმეცნიერების კურსი.* თბილისი: თსუ გამომცემლობა; ● სუხიშვილი, მერაბ. 1986. *გარდამავალი ზმნები ქართულში.* თბილისი: მეცნიერება; ● შანიძე, აკაკი. 1980. *ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები.* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა; ● ჩიქობავა, არნოლდ. 1968. *მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში.* თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“. ● ჯორბენაძე, ბესარიონ. 1983. *ზმნის ხმოვანპრეფიქსული წარმოება ქართულში.* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა; ● Baker, C. Mark. 2015. *Case: Its Principles and its Parameters*. Cambridge: Cambridge University Press. ● Koeneman, Olaf & Hedde Zeijlstra. 2017. *Introducing Syntax* (Cambridge Introductions to Language and Linguistics). Cambridge, UK: Cambridge University Press. **ინტერნეტ-რესურსები:** ● ქართული ენის კორპუსები: http://gnc.gov.ge/gnc/page http://corpora.iliauni.edu.ge http://oldcorpora.iliauni.edu.ge **დამხმარე რესურსები:** ● პროექტორი; ● ამობეჭდილი მასალა
13.	თემატიკა კვირების მიხედვით	იხ. დანართი

დანართი (სასწავლო კურსის შინაარსი)

№	*ლექცია-სემინარების თემატიკა*	*ლიტერატურა*
1.	კურსის მიზნების, შინაარსის (ლექცია-სემინარების ზუსტი თემატიკა თარიღების მითითებით), ფორმატის, შეფასების კომპონენტების, სავალდებულო ლიტერატურის პრეზენტაცია. **პრაქტიკული მასალა:** წინადადადებში სიტყვათა შეკავშირების და სიტყვათა სინტაქსური შეკავშირების სახეების დადგენა **პრაქტიკულ მასალასთან დაკავშირებული თეორიული მასალის გამეორება:** წინადადება, როგორც სინტაქსური ერთეული; სინტაქსური კავშირი; სიტყვათა შეკავშირება, წყვილები; სიტყვათა სინტაქსური შეკავშირების სახეები **თანამედროვე სინტაქსურ თეორიასთან შედარება:** შედარება თანამედროვე სინტაქსის შეკავშირების თეორიასთან. **დავალება:** სტუდენტებს გადაეცემათ პრაქტიკული დავალება წინადადებაში წყვილების, ფრაზებისა და სიტყვათა სინტაქსური კავშირების დადგენის შესახებ. ასევე ფრაზების ელემენტარული ხეების ნიმუში და ლოგიკური დავალება სიტყვების შეკავშირების შეზღუდვებთან დაკავშირებით.	კვაჭაძე 1996, გვ. 3-34; Koeneman & Zeijlstra 2017, გვ. 35-43 ლექტორის მიერ მომზადებული პრეზენტაცია
2.	**პრაქტიკული მასალა:** წინადადებების ტიპების მაგალითები მოდალობის მიხედვით; მარტივი, შედგენილი და რთული წინადადებების დადგენა. მარტივი წინადადებების ტიპები: სრული, უსრული, გაუვრცობელი, გავრცობილი, სახელდებითი, უქვემდებარო. **პრაქტიკულ მასალასთან დაკავშირებული თეორიული მასალის გამეორება:** წინადადების ტიპები მოდალობისა და აგებულების მიხედვით. მარტივი წინადადების ტიპები; სიტყვათა განლაგება მარტივ წინადადებაში.	იოსავა 2003, გვ. 4-15. იოსავა 2003, გვ. 206-235. კვაჭაძე 1996, გვ. 39-62; აფრიდონიძე 1986, გვ. 11-30

№	*ლექცია-სემინარების თემატიკა*	*ლიტერატურა*
	დავალება: სტუდენტებს გადაეცემათ მარტივ წინადადებაში სიტყვათა განლაგების ნიმუში და პრაქტიკული დავალება წინადადების ტიპების დადგენის შესახებ.	
3.	**პრაქტიკული მასალა:** მარტივი წინადადების სინტაქსი, წინადადების მთავარი წევრების: შემასმენლის, ქვემდებარისა და დამატება-ობიექტების განსაზღვრა. **პრაქტიკულ მასალასთან დაკავშირებული თეორიული მასალის გამეორება:** მარტივი წინადადების სინტაქსი, წინადადების მთავარი წევრები. **თანამედროვე სინტაქსურ თეორიასთან შედარება:** შედარება თანამედროვე სინტაქსის არგუმენტების სტრუქტურასთან. **დავალება:** სტუდენტებს გადაეცემათ პრეზენტაცია და პრაქტიკული დავალება ქართული ენის კორპუსებიდან მარტივი წინადადებების შერჩევისა და წინადადებებში მთავარი წევრების განსაზღვრის შესახებ.	კვაჭაძე 1996, გვ. 64-69; გეგუჩაძე 2010, გვ. 58-61; Koeneman & Zeijlstra 2017, გვ. 56-59, 61-69. ლექტორის მიერ მომზადებული პრეზენტაცია http://gnc.gov.ge/gnc/page http://corpora.iliauni.edu.ge http://oldcorpora.iliauni.edu.ge
4.	**პრაქტიკული მასალა:** მარტივი წინადადების სინტაქსი, მარტივი და შედგენილი შემასმენლის განსაზღვრა. მარტივი წინადადებების გარჩევა შემასმენლის სხვადასხვა ტიპით, მათ შორის მარტივი ერთპირიანი ზმნა, ორპირიანი გარდაუვალი, ორპირიანი გარდამავალი, სამპირიანი ზმნა შემასმენლად და შედგენილი შემასმენელი. **პრაქტიკულ მასალასთან დაკავშირებული თეორიული მასალის გამეორება:** მარტივი წინადადების სინტაქსი, შემასმენელი: მარტივი და შედგენილი შემასმენელი, გარდამავლობა. **დავალება:** სტუდენტებს გადაეცემათ პრაქტიკული დავალება სხვადსხვა ტიპის შემასმენლის მაგალითებით და სინტაქსურად გასარჩევი მარტივი	იოსავა 2003, გვ. 21-38. კვაჭაძე 1996, გვ. 71-80; გეგუჩაძე 2010, გვ. 62-65. მელიქიშვილი, 2001, გვ. 32-41.

№	*ლექცია-სემინარების თემატიკა*	*ლიტერატურა*
	წინადადებები	
5.	**პრაქტიკული მასალა:** მარტივი წინადადების სინტაქსი, სხვადასხვა მეტყველების ნაწილით გადმოცემული ქვემდებარის მაგალითები. ქვემდებარის ბრუნვები. **პრაქტიკულ მასალასთან დაკავშირებული თეორიული მასალის გამეორება:** მარტივი წინადადების სინტაქსი, ქვემდებარე, ქვემდებარის ბრუნვები; **თანამედროვე სინტაქსურ თეორიასთან შედარება:** შედარება თანამედროვე სინტაქსის ბრუნვის თეორიასთან. **დავალება:** სტუდენტებს გადაეცემათ პრეზენტაცია და სინტაქსურად გასარჩევი მარტივი წინადადებები სხვადასხვა მეტყველების ნაწილით გადმოცემული ქვემდებარით. ასევე ბრუნვის მინიჭების ელემენტარული ხეების ნიმუში და ლოგიკური დავალება ქართულში ქვემდებარის სხვადასხვა ბრუნვით გადმოცემასთან დაკავშირებით.	იოსავა 2003, გვ. 38-55. კვაჭაძე 1996, გვ. 84-94; Baker 2015, გვ. 12-17, 29-60. ლექტორის მიერ მომზადებული პრეზენტაცია
6.	**პირველი კოლოკვიუმი**	
7.	კოლოკვიუმში დაშვებული შეცდომების ანალიზი **პრაქტიკული მასალა:** მარტივი წინადადების სინტაქსი, დამატება-ობიექტების გადმოცემა წინადადებაში. პირდაპირი დამატების განსაზღვრის მაგალითები მიცემითსა და სახელობითში; ირიბი დამატება. **პრაქტიკულ მასალასთან დაკავშირებული თეორიული მასალის გამეორება:** მარტივი წინადადების სინტაქსი, დამატება-ობიექტები: პირდაპირი და ირიბი დამატება. **დავალება:** სტუდენტებს გადაეცემათ სინტაქსურად გასარჩევი მარტივი წინადადებები პირდაპირი და ირიბი დამატებით.	იოსავა 2003, გვ. 71-82. კვაჭაძე 1996, გვ. 94-115; გეგუჩაძე 2010, გვ. 92-106.
8.	**პრაქტიკული მასალა:** მარტივი წინადადების სინტაქსი, შემასმენლის ურთიერთობა მასთან	

№	ლექცია-სემინარების თემატიკა	ლიტერატურა
	შეწყობილ წინადადების მთავარ წევრებთან. წინადადებების გარჩევა შემამსმენლის ქვემდებარესა და დამატება-ობიექტებთან ბრუნვაში შეწყობისა და პირსა და რიცხვში შეთანხმების თვალსაზრისით. **პრაქტიკულ მასალასთან დაკავშირებული თეორიული მასალის გამეორება:** მარტივი წინადადების სინტაქსი, ქვემდებარე და შემასმენელი, დამატება-ობიექტები და შემასმენელი. **თანამედროვე სინტაქსურ თეორიასთან შედარება:** შედარება თანამედროვე სინტაქსის შეთანხმების თეორიასთან. **დავალება:** სტუდენტებს გადაეცემათ პრეზენტაცია და პრაქტიკული დავალება ქართული ენის კორპუსებიდან მარტივი წინადადებების შერჩევისა და წინადადებებში შემასმენლის ურთიერთობის განსაზღვრის შესახებ მასთან შეწყობილ მთავარ წევრებთან.	კვაჭაძე 1996, გვ. 118-136; Koeneman & Zeijlstra 2017, გვ. 111-119. ლექტორის მიერ მომზადებული პრეზენტაცია http://gnc.gov.ge/gnc/page http://corpora.iliauni.edu.ge http://oldcorpora.iliauni.edu.ge
9.	**პრაქტიკული მასალა:** მარტივი წინადადების სინტაქსი, წინადადების არამთავარი წევრების უბრალო დამატებისა და განსაზღვრების განსაზღვრა. სინტაქსურად წინადადებების გარჩევა. **პრაქტიკულ მასალასთან დაკავშირებული თეორიული მასალის გამეორება:** მარტივი წინადადების სინტაქსი, უბრალო დამატება, განსაზღვრება. **დავალება:** სტუდენტებს გადაეცემათ სინტაქსურად გასარჩევი წინადადებები უბრალო დამატებითა და განსაზღვრებით.	იოსავა 2003, გვ. 82-125, 184-202. კვაჭაძე 1996, გვ. 137-153, 187-199; გეგუჩაძე 2010, გვ. 115-148.
10.	**პრაქტიკული მასალა:** მარტივი წინადადების სინტაქსი, წინადადების არამთავარი წევრი - გარემოება. ადგილის, დროის, ვითარების, მიზნისა და მიზეზის გარემოებების გარჩევა და წინადადებაში სინტაქსური ანალიზი. **პრაქტიკულ მასალასთან დაკავშირებული თეორიული მასალის გამეორება:** მარტივი	იოსავა 2003, გვ. 125-178. კვაჭაძე 1996, გვ. 154-187; გეგუჩაძე 2010, გვ. 148-183.

№	*ლექცია-სემინარების თემატიკა*	*ლიტერატურა*
	წინადადების სინტაქსი, წინადადების არამთავარი წევრები: გარემოება **დავალება:** სტუდენტებს გადაეცემათ მარტივი წინადადების სრულყოფილი გარჩევის ნიმუში და სინტაქსურად გასარჩევი წინადადებები სხვადასხვა ტიპის გარემოებებით. ასევე მარტივი წინადადების ელემენტარული სინტაქსური ხეები თვალსაჩინოებისათვის. **დამუშავებული საკითხების გამეორება**	გეგუჩაძე 2010, გვ. 190-193.
11.	**მეორე კოლოკვიუმი**	
12.	კოლოკვიუმში დაშვებული შეცდომების ანალიზი **პრაქტიკული მასალა:** შერწყმული წინადადების სინტაქსი: ერთგვარწევრიანი შერწყმული წინადადებების და შერეული სახის შერწყმული წინადადებების სინტაქსური ანალიზი. **პრაქტიკულ მასალასთან დაკავშირებული თეორიული მასალის გამეორება:** შერწყმული წინადადების სინტაქსი, განკერძოებული სიტყვები. **დავალება:** სტუდენტებს გადაეცემათ სინტაქსურად გასარჩევი სხვადასხვა ტიპის შერწყმული წინადადებები, კერძოდ, უკავშირო, მაჯგუფებელკავშირიანი, მაცალკევებელკავშირიანი, მაპირისპირებელკავშირიანი და შერეული შერწყმული წინადადებები.	იოსავა 2003, გვ. 254-317. კვაჭაძე 1996, გვ. 261-299, 301-344; გეგუჩაძე 2010, გვ. 209-239, 244-269. იოსავა 2003, გვ. 235-249, 321.
13.	**პრაქტიკული მასალა:** რთული წინადადების სინტაქსი, რთული თანწყობილი წინადადებების სინტაქსური ანალიზი. **პრაქტიკულ მასალასთან დაკავშირებული თეორიული მასალის გამეორება:** რთული წინადადების სინტაქსი, რთული წინადადების ძირითადი ტიპები; რთულში გაერთიანებულ წინადადებათა დაკავშირების საშუალებები; რთული თანწყობილი წინადადება. **დავალება:** სტუდენტებს გადაეცემათ სინტაქსურად გასარჩევი სხვადასხვა ტიპის რთული თანწყობილი წინადადებები, კერძოდ, უკავშირო, მაჯგუფებელკავშირიანი,	კვაჭაძე 1996, გვ. 347-375; გეგუჩაძე 2010, გვ. 272-282. იოსავა 2003, გვ. 367-388.

№	ლექცია-სემინარების თემატიკა	ლიტერატურა
	მაპირისპირებელკავშირიანი და მაცალკევებელკავშირიანი რთული თანწყობილი წინადადებები.	
14.	**პრაქტიკული მასალა:** რთული წინადადების სინტაქსი, რთული ქვეწყობილი წინადადებების სინტაქსური ანალიზი. **პრაქტიკულ მასალასთან დაკავშირებული თეორიული მასალის გამეორება:** რთული წინადადების სინტაქსი, რთული ქვეწყობილი წინადადება; დამოკიდებული წინადადება სინტაქსური ფუნქციის მიხედვით. **დავალება:** სტუდენტებს გადაეცემათ სინტაქსურად გასარჩევი რთული ქვეწყობილი წინადადებები სხვადასხვა სახის დამოკიდებული წინადადებებით (ადგილის მიხედვით და ფუნქციის მიხედვით). ასევე რთული თანწყობილი წინადადების ელემენტარული სინტაქსური ხეები თვალსაჩინოებისათვის.	იოსავა 2003, გვ. 391-405. კვაჭაძე 1996, გვ. 383-460; გეგუჩაძე 2010, გვ. 288-328. იოსავა 2003, გვ. 411-483.
15.	**პრაქტიკული მასალა:** რთული წინადადების სინტაქსი, რთული ქვეწყობილი წინადადებების რამდენიმე დამოკიდებული წინადადებით სინტაქსური ანალიზი. **პრაქტიკულ მასალასთან დაკავშირებული თეორიული მასალის გამეორება:** რთული წინადადების სინტაქსი, რთული ქვეწყობილი წინადადება რამდენიმე დამოკიდებული წინადადებით. **დავალება:** სტუდენტებს გადაეცემათ სინტაქსურად გასარჩევი წინადადებები რამდენიმე დამოკიდებული წინადადებით და პრაქტიკული დავალება ქართული ენის კორპუსებიდან რთული ქვეწყობილი წინადადებების შერჩევისა და მათი ანალიზის შესახებ.	იოსავა 2003, გვ. 483-509. კვაჭაძე 1996, გვ. 465-480; http://gnc.gov.ge/gnc/page http://corpora.iliauni.edu.ge http://oldcorpora.iliauni.edu.ge
16.	**დასკვნითი გამოცდა**	